№ 126

სამშაბათი, 16 ივნისი, 1898 წ.

1877—1898

# ივერია

№ 126

სამშაბათი, 16 ივნისი, 1898 წ.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 16 კაპ., მეოთხეზედ—3 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

დაიბეჭდა და გადაეცა „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას გასასყიდად ახალი წიგნი:

## თ. ილია ჭავჭავაძე

ბიოგრაფიული და კრიტიკული ეტიუდი.

წერილი პირველი

**მ ე გ ა ხ ლ ა ვ ა რ**-ისა.

ფასი 20 კაპ. ვინც 10 ცალზედ მეტს დაიბარებს ხსენებულ მაღაზიიდგან, მას 20%. დაეთმობა. წიგნი იყიდება აგრეთვე ბ-ნ იმედაშვილის წიგნის მაღაზიაში, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. (10—უ.—1)

## „აღმოსავლეთის მაღაზია“
### იოსებ მერკვილაძისა

(ლორის-მელიქოვის ქუჩა, ზუბალოვის სახლი, № 4. სემინარიის პირდაპირ)

ახლად მივიღეთ **იაპონიის საუცხოვოდ დამზადებული** მრავალი **საქონელი** და ნამდვილი **ჩინეთის ფანზა** და **ჩესუნჩა** და სხვა აბრეშუმეული. აქვე იყიდება **ჩვენებური დარაიები, შალები** და სხვა ნაწარმოები.

მაღაზიას აქვს **ქართული** (იმერული) **ტანისამოსის** სამაგალითო **სამკერვალო.** (10—88—6)

## «ივერიის» რედაქციისაგან.

ვისაც სურს, რომ პირველ ივლისიდგან გაზეთის გზავნა არ მოესპოს, უნდა წარმოადგინოს გაზეთის ხვედრი ფული ივლისისავე პირველ რიცხვამდე.

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
ჟუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ზ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ყ. მ ჩიქოვანი,** 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

მკურნალი-ქალი. **ა. ი. რუდენკო.** $10^1/_2$—$11^1/_2$ საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფ. მსურველთ ყვავილს აუცრის.

**ზ. ი. ბაბანასიანცი.**—დილის $11^1/_2$—12 ს. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფებს.

**ი. თ. პროტასევიჩი.** 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულით ავადმყოფებს.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** $1^1/_2$—$2^1/_2$ ს. შინაგანი, და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**გ. მ. მახვილაძე.**—5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

**ზ. ა. ნავასარდიანი**—$6^1/_2$—7 საათ.

**ა. ნ. შპაკოვსკი**—6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპია), ვენერიულ და კანის სნეულებას.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову (წ)

## ვკისრულობ

**ტაქსაციას** და დაფასებას ტყეებისა, დაფასებას სოფლის მამულის წარმოებისა,

**პლანების აღებას და ნიველიროვკას.**

**ალექსანდრე გრიგოლის ძე სნეჟკოვი.** ლაბორატორიის ქუჩა, სახლი № 26.

**ტელეფონი** № 567. (50—80—35).

### მთავრობის განკარგულებანი

დანიშნულ იქმნა სიღნაღის ქალაქის ბოქაულის თანაშემწე, მილიციის პრაპორშჩიკი ლევან რობიტაშვილი—სიღნაღის მაზრის საერობო დარაჯის დისტანციის უფროსად.

დათხოვნილ იქმნენ ავადმყოფობისა გამო სიღნაღის მაზრის საერობო დარაჯის დისტანციის უფროსი, მილიციის პრაპორშჩიკი როსტომ ავალიანი.

## ახალი ამბავი

*** კავკასიის მთავარ-მართებელი თ. გ. ს. გოლიცინი, თავისის მეუღლით, კვირას, 14 ივნისს, დილის 7 საათზე ტფილისიდგან ესენტუკს წავიდა კავკავის გზით.

*** გორის ეპისკოპოსის, ყოვლად სამღვდელო ლეონიდის თხოვნით, მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესს, საქართველოს ეგზარხოსს ნება დაურთავს დაიბეჭდოს და დაურიგდეს ყველა ეკკლესიებსა და სკოლებს ბ-ნ იპპოლიტოვ-ივანოვის მიერ ნოტებად დაწყობილი ივანე ოქროპირის წირვის გალობა.

*** კვირას, 14 ივნისს, კვირაცხოვლის წმ. თომას ეკკლესიაში მწირველი ბრძანდებოდა მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესი ფლაბიანე, საქართველოს ეგზარხოსი, ურმიის ეპისკოპოსის მარ იონასა და სხვათა თანამწირველობით. წირვის დაწყებამდე მართლ მადიდებელ ეკკლესიას შემოუერთდნენ ტფილისში მცხოვრები აისორები, რომელთაც მღვდელმა გურგენიძემ შესაფერის სიტყვით მიჰმართა აისორულ ენაზე. წირვის შემდეგ გარდახდილ იქმნა სამადლობელი პარაკლისი.

*** ტფილისის გუბერნატორი ბ-ნი თ. ა. ბიკოვი კოჯორიდგან ტფილისს დაბრუნდა.

*** ტფილისის ქართველ ხელოსნებ ძლივს შეუსრულდათ დიდის ხნის გულის წადილი და შეადგინეს ამხანაგობა „შრომა“. ამ ამხანაგობის გაზრახვა გუშინ, 15 ივნისს, საქმედ იქცა: ამხანაგობამ გაჰმართა საკუთარი ქარხანა კუკიის ხიდზედ, თ. მუხრან ბატონის სახლებში. ამხანაგობის ქარხანა იღებს შეკვეთას ყოველ გვარის ავეჯეულობისას იაფფასად, ასრულებს საქმეს დროზედ და მასალად ჰხმარობს კარგს გამხმარ ხე-ტყეს. გამგეობას ყურადღება აქვს მიქცეული, რომ მუშტარს უფროსმა ხელოსანმა გადაკვეთილი ფასი მოსთხოვოს და ჩარჩობა არ გასწიოს. ფასები ყველასთვის ერთი და იგივე იქნება. ქარხანა იღებს ყოველგვარს იჯარას. ამხანაგობაში ამ ჟამად ჩაწერილია 73 ხელოსანი. ვისურვებთ, რომ ამ ახალს საქმეს ფეხი მკვიდრად მოეკიდებინოს ჩვენს ნიადაგზედ და განუცხადდეთ დიდის ხნის სურვილი ჩვენს ხელოსნებს ჩარჩების ხელიდგან თავის დახსნისა.

*** ქალაქის გამგეობის თხოვნისა გამო ტფილისის პოლიცმეისტერი დასთანხმდა დანიშნულ იქმნას ოთხი პოლიციელი სატივოზედ, რომ დახმარება აღმოუჩინონ ხოლმე გამგეობის აგენტებს, ხოლო იმ პირობით კი, რომ ამ პოლიციელებს ჯამაგირი (თვეში 20 მანათი) ქალაქის გამგეობამ აძლიოს.

*** იმის გამო, რომ აღბულახის გზა (ტფილისი—ტაბახმელა—აღბულახი) მეტად გრძლადა სჳრის, ამიტომ ტფილისის საგუბერნიო სამმართველომ დაადგინა ახალი მოკლე გზა გაიყვანოს სოღანლუღსა და კოდიდგან აღბულახამდე. ადგილობრივი მცხოვრებლები კოდამდის გზის გასაყვანად ბეგარაზედ იქმნებიან გაყვანილნი და დანარჩენ გზის გასაყვანად-კი ბეგარა ფულად გარდახდებათ.

*** თერგის ოლქის მცხოვრებთა შორის ხმა გავრცელდა, რომ ინგუშებსა და ჩაჩნებს მთავრობამ ნება დართო ოსმალეთში გარდასახლდნენ იმ პირობით, რომ უპატრონოდ დატოვებული მამული ხაზინას გარდაეცეს და უკან დაბრუნების უფლება არავისა ჰქონდესო. მრავალი სოფელი აცხადებს თურმე თანხმობას ამ პირობით გარდასახლებისას.

*** ტფილისის მცხოვრებმა ეკატერინე ნადიროვისამ შესწირა ტფილისში დასაარსებელ სახალხო თეატრის სასარგებლოდ ორასი თუმანი.

*** ტფილისის საგუბერნიო მმართველობა უკვე ათავებს სავარაუდო ხარჯ-აღრიცხვის შედგენას იმ გზების შესაკეთებლად, რომელიც გააფუჭა 1896 წლის წყალდიდობამ. გზებისა და ხიდების შესაკეთებლად საჭიროა 100,000 მანათამდე.

*** ტფილისის პოლიცმეისტერმა მოსთხოვა პოლიციის ყველა ბოქაულებს, გამომიგზავნეთ სიები ოსმალეთიდგან ტფილისში გადმოსახლებულ სომეხთაო.

*** ქალაქის საბჭოში 13 ივნისს კრება მოხდა რუსეთის საიმპერატორო სატეხნიკო საზოგადოების კავკასიის განყოფილებისა. თავმჯდომარედ იყო ინჟენერი ს. ფ. ნოვომეისკი. დაესწრო 15 წევრი განყოფილებისა. ამათ გარდა კრებას დაესწრნენ: ქალაქის მოურავი ბ. ევანგულოვი, გამგეობის წევრი ვერმიშევი, გამგეობის ტეხნიკები და მხოლოდ სამი ხმოსანი: ბ. ბ. ხუდადოვი, ევანგულოვი და ქოჩორიანცი, წაკითხულ იქმნა მოხსენება ელექტროტეხნიკის ნ. ეგოროვისა და კრებამ კენჭის ყრით გადასწყვიტა გამართულ იქმნას ტფილისში მხოლოდ ელექტრონის განათებაო.

*** ბაქოს ქალაქის გამგეობის მე-3 წევრის თანამდებობაზედ ბ-ნის ა. ნ. საფაროვის მაგიერ, რომელმაც თავისის ნებით თავი დაანება სამსახურს, კავკასიის მთავარ-მართებლის მიერ დანიშნულ იქმნა ბ-ნი ფონდერნონნა. საბჭომ ორჯელ დანიშნა ქალაქის გამგეობის წევრის არჩევანი და ვერც ერთხელ ვერ მოახერხა წევრის არჩევა.

*** ტფილისის პოლიციამ ქალაქის მკურნალების დახმარებით მეექვსე ნაწილში აღმოაჩინა, რომ 6 ვაჟარი ცუდის სენით ყოფილა შეპყრობილი. ბ-ნ პოლიცმეისტერმა ხელმეორედ მიჰმართა ქალაქის მოურავს და სთხოვა, რაც შეიძლება მალე მოაწყოთ ავლაბარში ამ ავადმყოფთათვის სადგური, რადგანაც პოლიციამ უკვე 17 ვაჟარი აღმოაჩინა ამ სენით შეპყრობილი და უნდა ეცადნეთ, რომ ეს ავადმყოფობა ქალაქში არ გავრცელდესო.

*** ამ ჟამად ტფილისში იმყოფება ჩილის (ამერიკაშია) მთავრობის წარმომადგენელი ბ ნი ვალლერ სვანი, რომელიც გამოგზავნილია ჩილის მთავრობის მიერ იქაურ გვარჯილის გასავრცელებლად ნიადაგის გაპოხიერებისათვის. ბ-ნს ვალლერ სვანს წარუდგენია ეს გვარჯილა საცდელად კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებისათვის.

*** უმაღლესის ბრძანებით 1898 წელს ჯარში გაიწვევენ მთელ რუსეთის იმპერიაში 280,000 კაცს. თერგისა და ყუბანის ოლქებიდგანა და ამიერ-კავკასიიდგან კავკასიაში მდგომ ჯარის შესავსებლად ადგილობრივ მცხოვრებთაგან—5.600 კაცს.

*** თელავის მაზრის უფროსს მოუთხოვნია, სოფელ ყვარელში დაარსებულ სადგურისათვის გამოიგზანოს 300 ფუთი შაბიამანი და 15 მანქანა ვერმორელისა ვაზების წამლობისათვისო.

*** 13 ივნისს, საღამოს 6 საათზედ, მე-9 ნაწილის ბოქაულს გამოუცხადა ტფილისის მცხოვრებელმა ეფემია იოსების ასულმა მდივანმა, რომ ამ ორის კვირის წინად ჩემთან მოვიდა ვიღაცა და მითხრა, რომ მე სიღნაღის მაზრის მცხოვრებელი ოჰანეზ ქართველიშვილი ვარ, თან ქალი ჰყავდა და ოთახი მინდა ვიქირავოო მოწყობილობით. მეც ვაქირავე თვეში 15 მან. და ორის კვირის შემდეგ 105 მან. ნივთები მომპარა და სადღაც გაიქცაო. პოლიცია ქურს დაეძებს.

*** ტფილისის რეალურ სასწავლებელში წელს სწავლა დაამთავრა მეექვსე კლასში 28 კაცმა. გარდა ამისა მეშვიდე კლასში სწავლა დაამთავრა 18-მა.

*** ტფილისის დედათა მესამე გიმნაზიაში სწავლა დაამთავრა 16 მოწაფემ. ამათში ოქროს მედალი მიიღო ელენე ვაჩნაძემ და ვერცხლისა—მარიამ თუმანოვმა. სწავლა დამთავრებულთა შორის 5 რუსია, 1 ქართველი, 8 სომეხი და 2 ებრაელი.

*** ტფილისის მეორე გიმნაზიაში წელს სწავლა დაამთავრა 36 მოწაფემ. ამათში 15 რუსია, 3 პოლონელი, 4 ქართველი, 9 სომეხი, 2 ჩეხი, 1 ებრაელი და 2 გერმანელი. გარდა ამისა ამავე გიმნაზიიდგან უნივერსიტეტში მისაღები მოწმობა მიეცათ კიდევ ორს: იოსებ ბუკშტეინს და გრიგოლ ნათაძეს.

გიმნაზიის საბჭომ გადასწყვიტა მიეცეს დახმარება ფულით სწავლა დამთავრებულ 9 ღარიბ მოწაფეს.

*** 13 ივნისს ქალაქის გამგეობის წევრმა ა. მ. არღუთინსკი დოლგო-

რუკიმ ხელ-მეორედ მიიღო კერძო საეკონომიო საზოგადოებისაგან 2,000 მან. მოუსავლობით დაზარალებულთა სასარგებლოდ და გადასცა კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებასთან არსებულ კომისიას, რომელმაც ეს ფული ამ გვარად გაანაწილა: ტფილისის გუბერნიისათვის გადადებულ იქმნა 850 (თელავისა და სიღნაღის მაზრისათვის—400 მან., ტფილისისა და დუშეთისათვის—200 მ., ბორჩალოსათვის—175 მან., გორის მაზრის ს. რუისისათვის—50 მან. და თიანეთის—25 მან.); განჯის გუბერნიისათვის—750 მან. (ზანგეზურისა, ყაზახისა და განჯის მაზრისათვის თითოსთვის 200 მან. და შუშას მაზრისათვის—150 მან.); ერევნის გუბერნიისათვის—250 მან. (ახალ-ბაიაზეთისათვის—175 მან. და ნახიჩევანისათვის—75 მან.) და ბაქოს გუბერნიის კუბას მაზრისათვის—150 მან.

⁂ გორის სასოფლო სემინარიას წელს მიუღია ტფილისის სააბრეშუმო სადგურიდგან სამი მისხალი აბრეშუმის თესლი: 1 მისხალი იტალიისა, 1—საფრანგეთისა, $^1/_2$ ჩინეთისა, $^1/_4$ იაპონიისა და $^1/_4$ ბაღდადისა. 22 მაისს ჭიას გაუკეთებია პარკი. სულ გამოსულა 56 გირვანქა და 20 მისხალი.

⁂ გაზეთი „კავკასი“ იუწყება, რომ მთავრობას გადაუწყვეტია თელავის მაზრის სოფ. კონდოლის ზოგიერთნი მცხოვრებნი გაანთავისუფლოს გარდასახადისაგან, რადგანაც თურმე მეტად გაჭირვებულნი არიან.

⁂ დ. ზესტაფონი. მოგვივიდა ახალი მაზრის უფროსი, რომელიც ჯერ-ჯერობით დიდს ყურადღებას აქცევს ჩვენს დაბას. ჯერ ერთი, მედუქნეებს გამოუცხადა, რომ დღეიდგან აღარაფერი ვნახო თქვენის დუქნების წინ დაყრილიო, და, მეორედ, განზრახვა აქვს ის რიყის ქვა, რომელიც ამ ორის წლის წინად მოიტანეს და დაჰყარეს ქუჩაში ვითომ ქუჩის მოსაკირწყლავად, ისევ უკან წაადებინოს და ქუჩები გაასუფთავებინოს. წარსულ მაისს მივიღეთ ნება-რთვა წიგნთ-საცავ-სამკითხველოს დაარსებისა, მაგრამ დაარსება-კი ვერ ვეღირსეთ. დღემდის თუ ნება-რთვის მოუსვლელობას ვტიროდით, დღეს ნება-რთვის ქაღალდის სისრულეში მოუყვანელობას ვტირით. კარგი იქნება, გვაცნობოს ბ ნმა ელიაშვილმა ის, თუ რას უპირებს ამ ნება-რთვას, რადგან ბევრსა ჰსურს სამკითხველოს წევრობა.

⁂ 14 ივნისს ნაშუადღევს 3 საათზედ გორის მაზრის სოფ. ბერშუეთის მცხოვრებელმა დავით კაპანაძემ სიმთვრალისა გამო ჩხუბი აუტეხა თავისს გერს ქ. გორის მცხოვრებელს სოფიო თვალიაშვილისას, რომელიც რიყის ქუჩაზედ, ნალბანდოვის სახლებში სცხოვრობს, და ჩხუბის დროს კალმის დანით მძიმედ დასჭრა სოფიო თვალიაშვილისა. დაშავებული მიხეილის საავადმყოფოში იქმნა გაგზავნილი, ხოლო დავით კაპანაძე დაპატიმრებულია.

⁂ ამ ახლო მომავალში შემოღებულ იქმნება ჯეროვანი წეს-რიგი ზეითუნის ზეთით ვაჭრობისათვის სიყალბის თავიდგან ასაცდენად. ზეითუნის ზეთით მოვაჭრეთ დაევალებათ ჰურჭელს ქაღალდი მიაკრან და ზედ აღნიშნონ „ხელოვნურია“, თუ ქარხანაშია დამზადებული.

⁂ თიანეთის მაზრის სოფ. ბაბხილ-ხევის მცხოვრებელმა გიორგი თოკიაშვილმა ცხენზედ შეჯდომის დროს რევოლვერის ჩახმახი უცაბედად თოკს გამოსდო, რევოლვერმა იგრიალა და თოკიაშვილი ცოცხალ მკვდარი მიწაზედ დაეცა. ტყვია მუცელში მოჰხვედრია თოკიაშვილს.

⁂ 5 ივნისს ღამით ვიღაც ბოროტ-მოქმედთ გასძარცვეს გორის მაზრის სოფ. ბეკამის ეკკლესია და თან წაიღეს 109 მან. 76 კაპ.

⁂ გორის მაზრის სოფ. დმენისის მცხოვრებელთა დიმიტრი და ვასილ ბათიაშვილების ხის წისქვილს ცეცხლი წაუკიდეს ვიღაც ბოროტ მოქმედთ. ზარალი 300 მან. მოუვიდათ.

—

**შეცდომის გასწორება.** „ივერიის“ 121 ნომერში ჯავახეთის ახალქალაქიდგან მოწერილ ამბავში შეცდომით არის დაბეჭდილი, რომ სიცივემ 4,000 ცხვარი მოჰკლაო. უნდა იყოს 1,000 ცხვარი.

სათავად-აზნაურო სკოლის სასარგებლოდ ქართული წარმოდგენა გამართულ იქმნა ქ. ახალქალაქში და არა სოფ. ახალქალაქში.

## წერილი თელავიდგან

ესეც კახეთი თავისის ლამაზისა და კოხტა თელავით! გულ კეთილმა თელაველებმა მაპატიონ ჩემი კადნიერება, რომ იმათ ქალაქს უნდა. ვუწოდო ღვინის სარდაფების უბანი თუ მშვენიერს ქუთაისს „სამიკიტნოების პოსელენიე“ დაერქმის, არ ვიცი, ღმერთმანი, თელავი რა ისეთი წითელი კვერცხია, რომ იმას არ დავარქვა „ღვინის სარდაფი“, როდესაც აქ ღვინის სუნი არჩობს გამვლელსაც და გამომვლელსაც. თელავიც და მის გარშემო სოფლებიც სულ ერთიანად ვენახებშია გაშენებული და შესანიშნავის თვისების ღვინოც დგება აქა. თელავის ერთის ადგილიდგან, სახელდობრ, ნადიკვრიდგან რომ გადაიხედოთ, ხელის გულივით დაინახავთ ჩვენის ხელმწიფის მამულებში უზარ-მაზარ ზვრებს, რომელნიც გაღმა-გამოღმა მხარის წინანდალსა და ნაფარეულში არიან გადაჭიმულნი.

— იცით, სიტყვა „თელავი“ საიდან წარმოსდგა? მკითხა ჩემთან მოსაუბრემ ერთმა სომეხმა. თურმე კახეთის მეფეს სომხებისათვის შეეთვალა: მოდით კახეთში, ერთს კარგს ადგილს მიგიჩენთ საცხოვრებლად და ივაჭრეთ ჩემს ქვეყანაშიო. სომხებსაც უთქვამთ ურთიერთ შორის: თუ კარგი ადგილია, წავიდეთო. სიტყვა—თუ კარგია—სომხურად ითქმის: თე ლავ და მას აქეთ ამ ადგილსაც თელავი დარქმევიაო.

არა თუ სათუოდ, ნამდვილი და მშვენიერი ალაგიც აუჩენია მეფეს სომხებისათვის, თუ მართლა, ამ სომხის ნათქვამი მართალია. თელავიც და გარშემო სოფლებიც თითქმის სანახევროდ სომხებს ეკუთვნის. მეთაურობის როლიც სომხებს უჭირავთ თელავში. აქ თითო ოროლა ნასწავლს ქართველს, ისიც შორიდგან მოსულს, აქა-იქ იქნება შეხვდეთ ხელად. ამ ნასწავლებსაც ყურები საცოდავად ჩამოუყრიათ და უნუგეშოდ დაღოღიალობენ. ან რამ უნდა ჩაუსახოს ამ საწყალობლებს გულში იმედი და სასოება? კახურმა თუ?..

აქვე მსურს მოვახსენო თელაველებს, რომ მეც ერთი შორიდგან მოსული მგზავრი კაცი ვარ, რომელიც ცხოვრების უკუღმართობამ გადმოტყორცნა კახეთში. მოსვლისათანავე მოვინდომე დათვალიერება თელავის უძველესის, ღირს სახსოვარისა და შესანიშნავის ადგილებისა. ვნახე ჩვენის დაუვიწყარ მეფეების ციხე-კოშკნი, რომლებითაც იგინი უმაგრდებოდენ საქართველოს მტრებს, მაგრამ ბოლოს და ბოლოს მაინც ბედმა უმუხთლა და საქართველომ თავი ვეღარ შეიმაგრა... ამ ჟამად ამ ციხე-გალავანში მოთავსებულია ქალთა სასწავლებელი, სასულიერო სასწავლებელი, რომლის ეზოშიაც, შორს ჯურღმულში, როგორც ქუთაისის გვირაბია, გადმოჩხრიალებს საუცხოვო დიდი წყარო. ამ ციხე-კოშკისა, ბულვარისა და ნადიკვრის არე-მარენი ერთი საუკეთესო ადგილებია მთელს თელავში.

თელაველების ყოფა-ცხოვრებას, ზნე-ჩვეულებას, დიდი უბრალოებისა და სიმარტივის ბეჭედი აზის. თელავი უფრო ერთი დიდი სოფელია, როგორც ახალ-ქალაქი და მეჯვრის ხევი, ვიდრე რიგიანად გაწყობილი ქალაქი. ზნეობისა და ცხოვრების ასე დიდი უბრალოებაც იმიტომ არის აქ. ლ. ნ. ტოლსტოის მიმდევარი, რომელიც ჩემს ნაცნობ-მეგობრებშიაც მეგულება ერთი, თავისუფლად ამოისუნთქებდა აქ. აი, ამ უბრალოებისა და სადა ცხოვრების დასახასიათებლად შევჩერდები ერთს შემთხვევაზედ, რომლის მოწმეც გახლდით...

თელავის დათვალიერების დროს ჩემი პირველი ნაბიჯი მიმართული იყო საზოგადო წიგნთ-საცავისა და სამკითხველოსაკენ. ძალიან მსურდა მენახა ეს ხალხის განმანათლებელი და აღმზრდელი დაწესებულება და, სხვათა შორის, სატახტო ქალაქების ახალი გაზეთებიც გადამეთვალიერებინა. წიგნთ საცავ-სამკითხველო ერთის სახლის ქვედა სართულშია მოთავსებული, ხოლო რომელ ქუჩაზედ, ვერ გეტყვით, რადგან თელავში ქუჩებს სახელები არა აქვთ. ოთახი პატარაა და თითქმის მიბნელებულიც. საზოგადოდ წიგნთ-საცავებში ვინც დადის წესად მიღებულია დავთარში ჩასწეროს თავისი სახელი და გვარი და, მეც, შევედი თუ არა, იქვე მდგომ ყმაწვილ კაცს ვთხოვე, სამკითხველოში შემომსვლელნი სტუმარნი სად იწერებიან-მეთქი.

— რადა? გულუბრყვილოდ მიპასუხა.

— ყოველგან ასეთი წესი ჰსუფევს-მეთქი და, უეჭველია, თქვენც...

— რისთვის? რადა? გამაწყვეტინა მან სიტყვა.

— აი, თუნდ იმისათვის, რომ შეიტყოს კაცმა რიცხვი და ვინაობა, ან რა წრის, როგორი ხალხი ესტუმრება ხოლმე მაგ თქვენ წიგნთ საცავ-სამკითხველოს-მეთქი. ეს ძალიან საჭიროა იმიტომ, რომ თვალი ადევნოს კაცმა საქმის სრულს ვითარებას და, საზოგადოდ, ძლიერ საინტერესოა ვიცოდეთ საზოგადოების მოთხოვნილება რა დონეზედა სდგას დღეს.

— ჰაა! თქვენ წლიურის ანგარიშის შესახებ ამბობთ. ამას ჩვენ უამ დავიდარაბოდაც ვარდგენთ. თქვენ რომ ამბობთ, ეგ საქმე საჭიროც არ არის. ჩვენ ზეპირადაც კარგად ვიცით, ვინც დადის და ვინც—არა. თუ გნებავთ, თითებზედ ჩამოგითვლით იმათ გვარსაც და სახელსაც...

ვითხოვე სატახტო ქალაქების გაზეთები, მაგრამ, მგონია, „Недѣля“-ს მეტი არც ერთი არა ჰქონდათ.

დავჯექი სამკითხველოში და ტფილისის გაზეთებს დავუწყე გადათვალიერება. იქვე იყო სამიოდე ყმაწვილი კაცი, რომელნიც პაპიროსებს აბოლებდნენ. ბოლი ზვირთებათ მიდი-მოდიოდა ოთახის სივრცეში დაბოლოს, გრძელ ლენტად გაეკრა გაღებულს ფანჯარას. პაპიროსების მოსაწევი ცალკე ოთახიც რომ არ ჰქონდათ, მაგის შესახებაც ვიკითხე, მაგრამ ერთმა კოხტად ჩოხაში გამოწყობილმა ახალგაზდამ შემომძახა: აბა, ვის გაუგონია თქვე დალოცვილიშვილო, პაპიროსების მოსაწევი კიდევ ცალკე ოთახი. ეგ კი არა, ბარემ სხვაც რამე მოგვთხოვეთ თელავში, აქ კახეთია, იოლად უნდა წავიდეთ. პაპიროსის მოწევა თუ გნებავთ, ნეტა ვინ გიშლით, აი, აქვე მოსწიეთ.

კახელი ახალგაზდა კაცის სიტყვები მე ირონიად მომესმა ყურში, მაგრამ გული-კი დავარწმუნე, რომ სიტყვები: „აქ კახეთია, იოლად უნდა წავიდეთო“—ირონია კი-არა, სრული განხორციელებული სინამდვილეა...

„აქ კახეთია, იოლად უნდა წავიდეთო“... ეხლაც მიჰყვის ყურებში...

გულკეთილი

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**სოფ. ხელთუბანი,** 12 ივნისი. როგორც ეტყობა, ჩვენს გაჭირვებასაც მიუღწევია მთავრობის ყურამდე. ჯერ ისევ 27 მაისს ხელთუბანს მოვიდა გორის სამაზრო სამმართველოსაგან გამოგზავნილი ბოქაული თ. ბარძიმ ავალიშვილი, რომელმაც სია შეადგინა გაჭირვებულებისა. როგორც ეტყობოდა, არა სჯეროდა, თუ ხელთუბანში მართლა შიმშილობა იქმნებოდა; რომ ამ ხალხის გაჭირვების შესახებ ლაპარაკი გაზეთებისგან არ იქმნებოდა გაზვიადებული. ასე ჰგონიათ მაგ დალოცვილებს, ან მოამბეებს ექავებოდეთ ხელები და ან გაზეთებსა. მოამბის კალია გარემოება საქმისა აღნიშნოს, იმისდა მიუხედავად, ვისი სასიამოვნო იქმნება და ვისი საწყენი. სამშაბათი დღე იყო. ცუმცა პატივცემული თ. ავალიშვილი ადრე მობრძანდა, მაგრამ მაინც კიდევ ხალხს, რაკი შეეტყო მიზეზი იმისი მოსვლისა, სამუშაოსთვის თავი დაენებებინა და მოვიდნენ გახარებულები.

— ღმერთმა გაამძლიეროს ჩვენი ხელმწიფეო, იძახებოდა სიხარულით აღტაცებული ხალხი. დიახაც, შვილოსა, ჩვენი დიდებული ხელმწიფე ჩვენთვის ჰზრუნავს და მოგვხედავს, როცა ჩვენი დაჭირება შეესმის. ბარემ ჩვენს დაჭირებას რო შევასმენდეთ, ასეც აღარ ვიქმნებით გაჭირვებული. ხელმწიფის წყალობა წვიმა და მზესავით ყველას ეყოფაო.

ბოქაული სწერდა, ვის რამდენი კომლი დასჭირდებოდა. მხოლოდ იმათ არა სწერდა, ვინაც თითონ არ მოვიდა სხვაგან მეოფობის გამო და შინიდგან სხვა ვინმე წამოსულიყო, რომ თავიანთი გაჭირვება შეეტყობინებინა „ხელმწიფისგან გამოგზავნილ“ კაცისთვის.

ხალხის სიხარულსა და მადლობას, ვიმეორებ, საზღვარი აღარა ჰქონდა. ამ შემთხვევამ ხალხი ცოტა წამოსწია, იმედი გაუცოცხლა გულში, რომ მარტო მწყალობელ ფურად არ გვიტოვებს და ჩვენს ავ-კარგზედაც ჰზრუნავენო, ჩვენი გაჭირვება-დაღხინებაც აღარდებს ვისმეო. ხელად 47 კომლი ჩაიწერა. ვინც გაჭირვებული დარჩა, იმათაც, დაგვპირდა, მერე ჩავუმატებთო.

ამისთანა სამადლო საქმე ცოტა იმათ არ ესიამოვნათ, ვინც ხალხის გაჭირვებით ხელებს მოითბობს ხოლმე, მაგრამ ხალხის შიშით ხმა მაღლა ვერ აცხადებდნენ თავისს უსიამოვნებას. ამათის მიზეზით იქნება, რომ ხალხში გაავრცელეს ხმა, წამხდარ ფქვილს არიგებენო; სიმწარით არ შეიჭმევაო, ან როშავით არის მსხვილად დაროხილიო.

სოფელს განაჩენი მოჰკითხეს, რომ ერთმანეთის თავდებობით გადიხდიან მიღებულ პურს. 7 ივნისს ეს განაჩენიც დადგა, თან სიაც შეავსეს და გააგზავნეს, სადაც ჯერ იყო. ახლა პურის მიღებას ელიან. სულ ჩასწერეს 60 კომლი, რომლებმაც ითხოვეს 720 ფუთი პური. არ ჩასწერეს ათიოდე კომლი, რადგან ნახნავ-ნათესი არა აქვთ და რით გარდიხდიან ვალსაო. დარჩა ოცი კომლი. ამათში სამიოდე კომლს მართლაც გასაცემიც აღმოუჩნდათ პური, თუმცა წინადა ჰმალავდნენ. დანარჩენები კი რაკი ღარიბი ხალხია, სცხვენოდათ ჩაწერისა, როგორც თითონა სთქვეს, თორემ არც ჩვენა გვაქვს ბედლები სავსეო. ახლა ელიან მოუთმენლად, როდის დაგვირიგებენ ფქვილს. იმედიანი შიმშილიც კარგიაო, ნათქვამია. თუმცა სოფელში ერთს მჭადსაც ვეღარ იშოვნი სესხად მეზობლისგან, მაინც რაკი იმედი აქვთ, მოგვცემენო, არად იმჩნევენ შიმშილს. რაკი მადლი ჰქმნეს, ბარემ მალეიც მოაყარონ და ნუღარ დაუგვიანებენ შეწყალობას, თორემ როცა ყანები გაიჭრება, მაშინ რაღად უნდათ...

აქეთ ეს სამი დღეა საშინელი სიცივეებია. იმახიან, ამ დროს ამისთანა სიცივეებს არ შევსწრებივართო. როგორც გინდათ იფიქრეთ, წუხელ ათს საათზე 5 გრადუსი ძლივს იყო სითბო გარეთ. დღე 8—9 გრადუსს ზევით არ მიდის სითბო. კაზი ყვავილშია და მგონი სულ ხელს აგვაღებინებს. მერე ასეთი უღმერთოდ მოსხმა თავის დღეში არ გვინახავს. სწორედ საუბედუროსაო, წუწუნებენ აქეთ-იქით. თუ შეგვრჩა, რაც მოისხა, წლის მაგივრად ღვინოს დავუწყებთ სმასაო. ჭირნახულებს რიგიანი პირი უჩანს სარწყავებში, ურწყავი-კი, ისე შენი მტერი იყოს, როგორც ის არის, ნამდვილი შიმშილი მოელით. ურწყავში არაფერი არა დგას-რა, თუ ამ წვიმებმა არა უშველეს-რა, გვიან-კია. მინდორში ბალახი სრულიად არ არის გაზაფხულიდგანვე, საქონელს ჯერაც არ გასცვივნია ნაზამთრი ბალანი. თივა მალიან ცოტაა. დვთისაწინაშე, ტირიფონაში-კი აქვნენ, რაკი დიდი თოვლი იყო ამ ზამთარს. ლიახვს გაღმაც ვარგს ჭირნახულებს ამბობენ.

მოკეთე

## რუსეთი

—

წელს რუსეთის ბაღოსნობის მოყვარეთა საზოგადოება რამდენისამე ვერცხლის მედალით დააჯილდოვებს საერო სასწავლებლების იმ მასწავლებლებს, რომელნიც საზოგადოებას წარუდგენენ მათ მიერ მოყვანილ წვანილეულობისა და ხეხილის ნიმუშებს და ვრცელ აღწერას სასწავლებელთან არსებულ ბაღ-ბოსტნისასა და სანერგისას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ ამ დღეებში დაამტკიცა დებულება და პროგრამმა იმ საგნებისა, რომლებიც განსახილველად წარედგინება წელს კავკასიაში გასამართად განზრახულ მთელის რუსეთის მეფუტკრეთა კრებას.

# უცხოეთი

**ესპანიისა და შეერთებულის შტატების ომი.** „რეიტერის სააგენტოს“ დეპეშა იუწყება: „მანილაში მყოფ ესპანელების საქმე დღითი დღე უკან მიდის. ჯარი ვეღარ გაჰმაგრებია მეამბოხეებს. ეს უკანასკნელნი ყოვლის მხრივ შემოერტყნენ ქალაქს და თვით იმის აღებას შეუდგნენ. მანილაში სურსათი სრულიად აღარ მოიპოვება. გაცები გაგზავნეს მანილადგან სურსათის მოსატანად, მაგრამ გაგზავნილნი ხელცარიელნი უკანვე დაბრუნდნენ, ვერსად ვერ ვიშოვნეთ სურსათი, ყველა ჩვენი მტერია და ამიტომ არავინ არაფერს გვაძლევსო. მეამბოხეთ კუნძულის ყველა ქალაქის მცხოვრებნი დაიმორჩილეს, ხოლო ვინც მალაზე დადგა — ამოსწყვიტეს. მანილის გარდა არც ერთი ქალაქი აღარ არის ესპანელების ხელთ. ესპანელნი ყველგან დამარცხდნენ. მათ არც ერთ შეტაკებაში არ გაუმარჯვნიათ. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, რადგანაც მთელი კვირის განმავლობაში უჭმელ-უსმელ ჯარს გამარჯვებისა აღარა სცხელა. ვიდრე ჯარს სურსათი ჰქონდა, მამაცად და ყოჩაღათ იბრძოდა, ეხლა-კი შიმშილისაგან ფეხებს ძლივს დაათრევს. უკანასკნელი შეტაკება მანილის კედლებთან მოხდა. ესპანელებს ერთის დღეს მოუკლეს 90 კაცი, ხოლო დაუჭრეს 1000. დამარცხებული ჯარი ქალაქს შეეფარა. მაგრამ მეამბოხეთ ტყვია მანილის ერთს უბანს დაუშინეს და თითქმის მიწასთან გაასწორეს. ამ ჟამად მეამბოხეთა ჯარი მხოლოდ ბრძანებას ელის, რომ ქალაქს შეესიოს და აიღოს. გუბერნატორმა სათათბიროდ მიიწვია გენერლები და აფიცრები და გამოუცხადა, ეხლა ბრძოლით ველარაფერს გავაწყობთ, უმჯობესია, ამიტომ, წინ-და-წინვე დავემორჩილოთ მეამბოხეთაო. მაგრამ დამსწრენი არ დათანხმდნენ და მაშინ გუბერნატორმა თანამდებობაზედ ხელი აიღო. იმის მოადგილემ ბრძოლა განაახლა, მაგრამ მალიან საეჭვოა, რომ მეამბოხენი განიდევნონ მანილიდგან“. ზოგიერთი გაზეთები იმასაც ამბობენ, მეამბოხეთ უკვე აიღეს მანილა და ფილიპეს კუნძულები თავისუფალ სახელმწიფოდ აღიარესო.

— ასევე ცუდად მიდის ესპანელების საქმე კუნძულ კუბაზედაც. გაზეთების სიტყვით, ამ ორ-სამ დღეში ამერიკელები უეჭველად აიღებენ სანტ-იაგოს და იქ მყოფ ესპანიის ესკადრას სრულიად გაანადგურებენო. სანტ-იაგოს აღების შემდეგ, ამერიკელებს აზრადა აქვთ, კუნძულ პორტო-რიკოს დაეცნენო. გაზეთები იმასაც უმატებენ, რომ ამერიკელებს არ გაუჭირდებათ კუბის დანარჩენ ქალაქებისა და სოფლების აღება, რადგანაც სურსათი ყველგან შემოაკლდათ და ესპანიის მშიერი ჯარი დიდს წინააღმდეგობას ვეღარ გაუწევს ამერიკის ჯარსაო.

— ერთად-ერთი იმედი და ნუგეში ესპანელებისა ადმირალის კამორის ესკადრაა, რომელიც ამ რამდენისამე დღის წინად კუბისაკენ გაემართა. ესპანელთ დიდის ამბით გააცილეს თურმე ეს ესკადრა. მთავრობას იმედი აქვს, რომ კამორი თავის გემებით დროზედ მიეშველება სერვერს და გაჭირვებიდგან გამოიყვანს როგორც იმის ესკადრას, აგრეთვე მთელ კუბას. მაგრამ, საეჭვოა, რომ კამორიმ გააწყოს ღა რამ. იმას ძალიან გაუჭირდება, რომ სანტ-იაგოს ნავთ-სადგურში შეიდეს და სერვერის ესკადრას შეუერთდეს. გაზეთების სიტყვით, ამერიკელები ამ ესკადრას სანტ-იაგომდე არც-კი მიუშვებენ და გზაზედვე ამოსწყვეტენო.

## ბ-ნ ბალანჩივაძის მეორე ქართულის კონცერტის გამო

საჯაყი საქმე გვემართება ქართველებს. მერე განა დიდი ხანია?!. ჯერ ექვს თვესაც ხომ არ გაუვლია, რაც ჩვენ წარჩინებულთა დაიწყეს „ცხოვრების ფურცლების კითხვა“. „ვთქვი, თუ გულსა რაღად ვიტეხ?“ — თუ აქამომდე აღმავფრენდით და სრული იყო თავისუფლება ჩვენ მწერალთა მოწიალე ფანტაზიისა, — დღეის იქით დავიწყებთ დალმაფრენას, ჩვენს კალამს ცხოვრების სადავეზე მივუშვებთ, რადგან სიტყვისამებრ წლევანდელის „კვალის“ პირველის ნომრის ფირმანისა, „ადვილია მის ამოკითხვა, რაც ცხოვრების ფურცლებზე (ს)წერია“.

ერთი ამგვარი ფურცელთაგანი „კვალის“ რედაქციამ სახაზინო თეატრის ქანდარაზე აღმოაჩინა წარსულს ხუთშაბათს და, დაფნის გვირგვინის ნაცვლად, მიუძღვნა კონცერტანტს მელიტონ ბალანჩივაძეს. ამ საარაკო „ცხოვრების ფურცლებზედ“ რედაქციამ ჩააკრიმანჭულა შემდეგი ხელის-ხელ საგოგმანებელი მარგალიტები „ჩვენი თემური კარჩაკეტილობა მუზიკალურ გემოვნებისა ყოველ სიველურეს აღემატება; მაგალითათ, ჩვენ შევნიშნეთ იმ დღეს, რომ საზოგადოება „გოგონას“ გაორკესტრებულ მღერას უფრო სიამოვნებით და ნაძალადევის თანაგრძნობით მიეგება, ვიდრე სვანურ დიდებულ ფერხულს „ლილეს“ და „კუჩხა ბედნიერს“, თუმცა ეს ორი უკანასკნელი პიესა იმ გვარათვე შვენივრათ იყო გაორკესტრებული, როგორც „გოგონა“. ჩვენს ინტელიგენციას დღემდის მხოლოდ პროვინციალური ყურთა სმენა აქვს მარტო გაღვიძებული და სხვა არა-ქართლ-კახურ სიმღერებს და ჰანგების სიმშვენიერეს სრულიად ვერ გრძნობს. აბა, ასეთმა სულით და გრძნობით ღატაკმა ინტელიგენციამ როგორ უნდა გაამხნევოს, ან როგორ უნდა შეინახოს თავისი მომავალი დიდება! სამწუხაროა, ფრიად სამწუხარო“. (იხილე „კვალი“ № 24 1898 წ.).

დიაღ, სამწუხაროა, ფრიად სამწუხაროა, ქ-ნო „კვალის“ რედაქციავ, რომ „ჩვენი ქართველი საზოგადოება, ანუ უკეთ ვთქვათ, მისი ინტელიგენცია — დაკნინებულია“. ამგვარ ინტელიგენციამ, სიტყვისამებრ თქვენისა, „განუვითარებელის გრძნობით აღჭურვილმა, რო ნამდვილ არტისტიულ ბუნებას თავზე წყალი გადაასხას“, — ესეც სამწუხაროა; მაგრამ მაგ ერთის კაცას უბედურებას როგორმე გამოვიგლოვებთ. მხოლოდ რას გვიშვრებით ჩვენ, ქართლ-კახელებს, როდესაც „თემურ კარჩაკეტილობასა“ გვწამებთ; რატომ კალამი ყუნწში არ მოგიტყდათ, როცა ჰბრძანეთ, მათი მუზიკალური გემოვნება ყოველ საველურეს აღემატებაო; მაგალითად ჩვენ შევნიშნეთ იმ დღეს, რომ საზოგადოება „გოგონას“ გაორკესტრებულ მღერას უფრო სიამოვნებით და ნაძალადევის თანაგრძნობით მიეგება, ვიდრე სვანურ დიდებულ ფერხულს „ლილეს“ და „კუჩხა ბედნიერს“ და სხვა?

დიაღ, მჯერა, ძალიანაცა მჯერა, რომ ჩვენი ინტელიგენცია დაკნინებულია, რადგან ამის უტყუარ საბუთს თვით ქ-ნი „კვალის“ რედაქცია წარმოადგენს. ჩვენ შევნიშნეთო? ვინ არის ეს „ჩვენ“, ან საიდგან შეჰნიშნა? თუ მართლა ეს ქალბატონ-ვაჟბატონი „ჩვენ“ დაესწრო კონცერტს, კარგად შეჰნიშნავდა, რომ ბ-ნ ბალანჩივაძის ორსავე კონცერტზედ მომეტებული დამსწრეთაგანნი იყვნენ ქართლ-კახელნი და ჯეროვანადაც მიეგებნენ თითოეულს სასიმღეროს. უნდა შეენიშნა, თუ ყურნი ჰქონდა სმენად, რომ კახურს „ნეტავი გოგოს“ და კახურისავე კლასიკურს „მრავალ-ჟამიერს“ ისეთი გავლენა არა ჰქონდა საზოგადოებაზედ, როგორც თამარ ცბიერის უვერტიურას და მეგრულ კილოს — „ცირას ნანას“. ერთის სიტყვით, არ ვიცი, სად იყო კვალის რეცენზენტი, როდესაც ბრძანებს, იმ დღეს ჩვენ შევნიშნეთო?!.“ ცხადია, ალბად არტილერიის ქუჩიდგან თუ ისმენდა კონცერტს, თორემ როგორ შეჰნიშნავდა საზოგადოების ნაძალადევს თანაგრძნობას. მერე ვითომ რატომაო? „კვალის“ რედაქციასა და სახაზინო თეატრს „შუა დიდი ზღვარი-კი არ უზის“: სულ ერთი საკადეტო კორპუსი-კია ჩასკუპებული! ჰა, ჰაა, მორჩა და გათავდა! ეხლა კი გაიგებს მკითხველი, თუ რად შეეშალა ნახტომი „კვალის“ რეცენზენტს. მერე იმისი რა ბრალია, რომ სათეატრო ბინოკლის მაგიერ თვალებზედ საკადეტო კორპუსის კედლები აქვს აფარებული; თორემ იმასაც-კი შეჰნიშნავდა და გამოაქვეყნებდა, რომ თეატრში ერთი ქართლელი, თუ კახელი გაიძახოდა: ხალხნო, ხელებს რაზედ იმტვრევთ მაგოდენა ტაშის-ცემით? ჩვენებური იყოს, კიდევ ჰო, თორემ ვიღაც კორტოხელი ბალანჩივაძეა, და თქვენ რა გრჯითო?!.

ჰო, იმას მოგახსენებდით, ქ-ნ „კვალის“ რედაქციამ გადაჰფურცლა ჩვენის ცხოვრების კარაბადინი და სულით განათლებულ დარეჯანსავით ჩაარაკრაკა: „ჩვენს ინტელიგენციას (იგულისხმეთ ქართლ-კახელები!) დღემდე მხოლოდ პროვინციალური ყურთა სმენა აქვს მარტო გადაგუბული (ხახვია!) და სხვა არა ქართლ-კახურ სიმღერებს ვერა ჰგრძნობსო... მისი თემური კარ-ჩაკეტილობა მუზიკალურ გემოვნებისა ყოველს სიველურეს აღემატებაო... თავის გაორკესტრებულს (sic!) უფრო სიამოვნებითა და ნაძალადევის თანაგრძნობით მიეგებაო“. ოღონდაც, ოღონდაც, ჩემო დარეჯან! შენ მაგ კარაბადინს ნუ მოიშორებ, „ცხოვრების ფურცლები“ მანდ ეძებე, და რაც შენ მაგ უშველის ცილის-წამებით მოიგო, ნურც ქართლ-კახელებს და ნურც იმერლებს წილს ნუ ჩაუდებ!

კარაბადინი ხომ კარაბადინია, მაგრამ ჩვენ ისევ თანამედროვე ცხოვრების წიგნს მივმართოთ; ესეც ხომ „ქართლის ცხოვრება“ არ არის, რომ თხუთმეტი ვარიანტი ჰქონდეს!.. არ ვიცი, ქალბატონ-ვაჟბატონი „კვალის“ რეცენზენტი ყოფილა ქართლ-კახეთში, ან ჩვენ თეატრში ლაიარება, თუ არა. არამც თუ ქალაქებში, თვით სოფლებშიაც-კი ბევრგან გაიგებთ იმერულს სიმღერას. თელავში, თიანეთში, სოფ. გრემ-საბუე-ენისელში, შილდაში, ყვარელში, იყალთოში, აწყურში და, ვინ იცის, კიდევ სად, არა ერთხელ გამიგონია თქვენ-მიერ ეგრედ წოდებული „დაკნინებული ინტელიგენციისაგან“ სხვა-და-სხვა იმერული სიმღერები: „ფაცხა“ — ორივე ვარიანტი, — ფერხული „დელი-ოდელი-ოდელა“, ცხენოსნური — „გასწი, გაფრინდიო, ჩემო მერანო“, „ჩქიმი ცოდვა“, „ჩარირამა“ და მრავალი სხვა. დიახ, ცხოვრების წიგნი ამას გვეუბნება, და „კვალის“ კარაბადინი-კი ჰბრძანებს, ქართლ-კახელებს ჩინეთის ყორე არტყიათო!

მოვიგონოთ ჩვენი საერო ხოროები ბ-ნ აღნიაშვილისაგან დაწყებული. არც ერთი კონცერტი არ გაუმართავთ, რომ იმერულს სიმღერებს თვალსაჩინო ადგილი არა სჭეროდათ, და საზოგადოებაც პატივით არ მოჰპყრობოდეს. თვით დიმიტრი ბაქრაძის გამოგლოვება — „მშვიდობით, ძმაო, ნეტარება შენ, რომ შეასრულე ამ სოფლის ვალი“ — ეს ყოველ ქართველის გულს ნადები სიტყვებიც-კი იმერულ კილოს დაურთო ჩვენმა საერო ხორომ და მას შემდეგ ისევ ის „დაკნინებული ინტელიგენცია“ რამდენსამე წელიწადს დააზუზუნებდა ამ გლოვას.

ბ-ნ ფილიმონ ქორიძემ რამდენჯერმე გაჰმართა თბილისში კონცერტი, რომელსაც მომეტებულად (და ეს ასეც უნდა ყოფილიყო) ქართლ-კახელი ინტელიგენტები დაესწრნენ და დიდის გატაცებით მიეგებნენ იმისს სიმღერებს; ეხლაც თვალ-წინ მიდგა ის დიადი სურათი, როდესაც აღფრთოვანებულმა საზოგადოებამ რამდენჯერმე გაამეორებინა ბ-ნ ქორიძის ხოროს გურული კლასიკური „ხელ-ხვავი“. ერთხელ მაინც შეიარეთ ქაშვეთის ეკკლესიაში და მოისმინეთ ბ-ნ ი. მონადირიშვილის გუნდის საეკკლესიო გალობა; „სიმბოლო სარწმუნოებისა“, „ლოცვა უფლისა“, „მხოლოდშობილი ძე და სიტყვა ღვთისა“ და რამდენიმე თქმა „უფალო შეგვიწყალენ“-ისა — ყველა ამ მთავარ ლოცვებს წირვისას განა იმერულის კილოთი არ ჰგალობს ბ-ნ მონადირიშვილის ოთხ-ხმიანი ხორო?!. შორს სად მივდივართ! სულ წარსულ შაბათს ბ-ნ ალ. კავსაძემ გაჰმართა კონცერტი. აქ საზოგადოებამ მოისმინა ქართლ-კახური, იმერულ-გურულ-მეგრული, ფშავ-ხევსურული, არაგვისპირული და ოსური სიმღერებიც-კი და დიდის აღტაცებით მიეგება თითოეულ პროვინციის კილო-ჰანგს. მერე ვინ იყო ამ კონცერტზედ? მომეტებულად ისევ ის, „კვალისაგან“ ათვალწუნებული ინტელიგენცია (იგულისხმე ქართლ-კახელები!) დიახ, ცხოვრების წიგნი ამას გვეუბნება და ქ-ნ „კვალის“ კარაბადინი-კი ქართლ-კახელებს რაღაც თემურ კარჩაკეტილობას, პროვინციულ შენჩემობასა სწამებს. აი, სწორედ აქა ჰმარხია ნეტარხსენებული აშორდია! არა, ზოგიერთ მეგაზეთე პუბლიცისტებისაგან მაინც აიღეთ მაგალითი: იმათ „ძმობა“ და „ერთობა“ გაცვითეს კიდეც თავისის დაუსრულებელის ქადაგებით და თქვენ-კი ამის მაგიერ ერთ სისხლ და ერთ ხორც ძმებს შორისაც-კი აგდებთ მოუნელებელ ქიშპობასა და სიძულვილს. თვით უჭკუო თხამაც-კი იცის, სანეკრეს სახტომსაც გაუსინჯავს ხოლმე, და თქვენ ხომ სამეცნიერო საპოლიტიკო ასპარეზი შემოიფარგლეთ! რა კარგი იქნებოდა, ჩვენის ცხოვრების „კვალო“, რომ შენგანვე კოხტად წარმოთქმული სიტყვები საქმითაც კოხტად გაგემტკიცებინა: ჩვენ იმას ამოვიტანთ და დავწერთ, რაც ცხოვრების ფურცლებზედ დაწერილია და მაშასადამე, რის წაკითხვაც ძლიერ ადვილიაო (იხ. „კვალი“ № 1—1898 წ.).

მოდი შენა და ამას იქით ნუ იტყვი, რომ „ცხოვრების ფურცლების წაკითხვა ადვილია“. იქნება ეგრეც იყოს! მხოლოდ მათთვის-კი, ვისი თვალთა ხედვის ისარი ცხოვრებისავე ცეცხლზეა ნაწრთობი და ცხოვრებისავე გრდემლზედ გამოჭედილ-გამოკვეთილი!.. თორემ სხვაფრივ ძნელია, სიტყვისამებრ „კვალისა“, კაცმა „შეინახოს თავისი მომავალი დიდება“! ტყუილად არ არის ნათქვამი: „ჰიანი კბილი კაკალს ვერ გასტეხსო“!..

გოგ-ან-ლო

# დამაკვირდი

ყოველი სათნოებაჲ სიყვარულისა მიერ და სიმდაბლისა განემტკიცების და იცნობების.

ილარიონ ქართველი

* * *

სჯულნი დავსთრგუნენ წიგნისაჲ და კორცთა სჯულსა დავემონე.

წმ. დავით აღმაშენებელი

* * *

მტარვალი მტარვლისაგან მაღლობს.

დიონოსი არქიმანდრიტი

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

საფრანგეთის ერთის ჟურნალის უკანასკნელ ნომერში დაბეჭდილია მეტად საყურადღებო და ამასთანავე სამწუხარო წერილი ლუი პროალისა შემდეგის სათაურით: „სიღარიბისა გამო თავის მოკვლა პარიჟში“. ავტორი ამ წერილისა ორის წლის განმავლობაში მოხელედ ყოფილა და ყოველივე წერილში აღნიშნული ცნობები თითონ შეუკრებია. პროალი ამტკიცებს, რომ სიღარიბისა გამო თავის მოკვლა პარიჟში დღითი-დღე მატულობსო. 1836 წელს პარიჟში თავი მოუკლავს სიღარიბისა გამო სულ 7—8 კაცს. ეხლა-კი ყოველ წელიწადს ამავე მიზეზით თავს იკლავს 300—350 კაცი. მართალია, 1836 წელს აქედ პარიჟის მცხოვრებთა რიცხვმა ერთი სამად იმატა, მაგრამ სიღარიბისა გამო თავის მკვლელთა რიცხვს-კი, ერთი სამად-კი არა, ერთი ოცად უმატნია.

1897 წელს უფრო ძნელი ყოფილა პარიჟში სამუშაოს შოვნა და ამავე წელს იმატა თავის მოკვლამაც. ივნისსა და ივლისში ისე დღე არ გავიდოდა, რომ ამ განათლებულს ქალაქში 4 ან 5 კაცს არ მოეკლა თავი საშინელის სიღარიბისა გამო. ცოლ-შვილის პატრონი კაცი გადის სახლიდგან სამუშაოს საძებნელად. ცოლი და შვილები მოუთმენლად მოელიან საღამოთი ოჯახის პატრონს, მაგრამ ამაოდ. მეორე დღეს-კი პოლიცია სადმე მდინარის პირას ან არხში ჰპოულობს იმის გვამს. „დილიდგან მოყოლებული დავდივარ, დავეძებ სამუშაოს და ვერაფერი მიპოვნიაო“. — სწერდა ერთი ხელოსანი თავისს შვილს. არ ვიცი, რა ავირჩიო: თოკი თუ მდინარე. ამაღამ, როცა არავინ იქმნება ბაღში, ჩემს განზრახვას შევასრულებ“. მეორე ხელოსანმა ეს ბარათი მისწერა პოლი-

ციას: „კარგად ვიცი, რომ თავს მოკვლა ვერაფრად მოსაწონი საქმეა და ამიტომ უნდა განვმარტო, რამ მიმიყვანა ამ განზრახვამდე. კარგადა ვხედავ, რომ მათხოვარად უნდა გადავიქცე უსაქმობისა გამო. თხოვნა მე არ შემიძლიან. სამუშაოს ვთხოულობდი მხოლოდ და არავინ მომცა“. 20 ივლისს თავი მოიკლა ერთმა 69 წლის ასოთ-ამწყობმა და ასეთი ბარათი დასტოვა: „დავრბივარ მთელს პარიჟში და საქმე ვერსად მიშოვნია, თავს ვიკლავ იმიტომ, რომ სალსარი არა მაქვს ცხოვრებისა და ჩემის თავისა მრცხვენიან“. 1897 წელს, მარტში, ერთმა სტუდენტმა—მკურნალმა ვერსად იშოვნა ცხოვრების სახსარი და თავი დაირჩო. ერთმა ნოქარმა სამსახური ვერსად იშოვა. მისი ცოლი დღეში სამ-ნახევარ ფრანკის საქმეს აკეთებდა და ამ ფულით ინახავდა ქმარსა და თავისს თავსაც. ნოქარს შერცხვა, ცოლი უკანასკნელს გროშსა ჰხარჯავს ჩემზეო და თავი მოიკლა. სიკვდილის ჟამს ასეთი ბარათი დასტოვა. „სრულებით არა ვნანობ განშორებას ამა ქვეყნისა, რომელშიაც მოსვლის ნება არავისთვის მითხოვნია. ვნახოთ, იქმნება იმ ქვეყნად უკეთესად მოვეწყო“. ერთის ხელოსანის ბარათი უფრო საყურადღებოა: „დედამიწაზე ჯოჯოხეთია, მიწის ქვეშ—სამოთხე“.

30 ივლისს დილით ჰნახეს მამაკვდავი 65 წლის მოხუცი დედაკაცი, რომელმაც გამოაცხადა, შიმშილით ვიტანჯებოდი და საწამლავი დავლიეო. 1897 წელს ერთს ხელოსანს ჭაღი დაეცა სახელოსნოში და ძლიერ დაშავდა. წაიყვანეს სამკურნალოში და იქიდგან დაითხოვეს 28 ოქტომბერს დაშავებულის ხელით. ოთხ თვეს სამუშაო ეძება, ვერაფერი იშოვნა და ბოლოს თავი მოიკლა. ერთი ცოლ-შვილიანი ხელოსანი 11 თვეს მუშაობდა ერთს კაცთან, მუშაობისაგან დაუძლურდა და პატრონმა დაითხოვა. დიდ ხანს ეძება სამუშაო, მაგრამ ვერსად ვერაფერს გახდა. ბოლოს შევიდა სახელოსნოში და ფანჯრიდგან გადმოვარდა. ვიდრე გადასწყვეტდა სიცოცხლეს გამოსალმებოდა, ხელოსანმა შემდეგი ბარათი გაუგზავნა სახელოსნოს პატრონს. „გეფიცებით, რომ 11 თვეს, ვიდრე თქვენ გემსახურებოდით, ბეჯითად ვასრულებდი ჩემს მოვალეობას. ჩამიბარებია თქვენთვის ჩემი ცოლ-შვილი“. თავის მოკვლის გარდა სიღარიბე ხშირად გამოიწვევს ხოლმე ცოლ-ქმარ შუა უსიამოვნებას და გაყრას. ამას მოსდევს შვილების უბედურება. ერთმა დედაკაცმა აიყვანა გასაზრდელად თავისის განსვენებულის დის წულნი. დიდხანს იშრომა და იტანჯა, რომ როგორმე გამოეზარდა ბავშვები, მაგრამ ვერას გახდა. ბოლოს მისწერა დის-წულებს: „აი, ამ 15 გროშის მეტი არა მაქვს თქვენთვისაო“ და მერე თავი მოიკლა. დიდი ხანი არ არის, რაც ერთს ლოგინზედ იპოვნეს დედ-მამა და 18 წლის ქალი, რომელთაც ნახშირი დაელევიათ ოთახში და ისე ამომრჩვალიყვნენ. მამას ასეთი ბარათი დაუწერია: „დიდის ხნის ჯაფისა და ტანჯვის შემდეგ გადავწყვიტეთ—გამოვესალმნეთ ამ წუთისოფელს. ჩვენ ერთმანერთს არასოდეს არ დავშორებივართ და ამიტომ არც ეხლა ვშორდებით და თან მიგვყავს ჩვენი ძვირფასი შვილიც, რომელმაც არ მოისურვა ჩვენი დაშორება“. 18 წლის ქალს-კი ასეთი ბარათი მიუწერია ნათლიისათვის: „სიკვდილის შემდეგაც ყველას ერთადა გვნახავთ, როგორც სიცოცხლის დროსა გვხედავდით“.

## ახალი წიგნები

ჩვენმა რედაქციამ მიიღო ახალი წიგნი: „თ. ილია ჭავჭავაძე, ბიოგრაფიული და კრიტიკული ეტიუდი, წერილი პირველი, ბ. მეგახლავარისა. შინაარსი წიგნისა: 1. წინასიტყვაობა, II. თ. ილია ჭავჭავაძის მშობლები, III. ქართველობა და მისი ლიტერატურა თ. ილია ჭავჭავაძემდის, IV. ი. ჭავჭავაძის გამოსვლა სალიტერატურო ასპარეზზედ და მისი პირველი პოლემიკა, V. მნიშვნელობა ილია ჭავჭავაძისა ქართულს ლიტერატურასა და ცხოვრებაში, როგორც პუბლიცისტისა, VI. თ. ილია ჭავჭავაძე, როგორც პოეტი-მოლექსე, VII. თ. ილია ჭავჭავაძე, როგორც ბელლეტრისტი. ფასი 20 კაპეიკი. წიგნი შეიცავს 48 გვერდს.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

14 ივნისი

**მადრიდი.** კერძო დეპეშა გონგკონგიდგან: „ესპანიის საელჩომ შეიტყო, რომ მანილია მტერს დაემორჩილა. უცხოელნი ზღვაოსანნი გადმოვიდნენ ნაპირზედ, რათა დაიცვან წესიერება და აგრეთვე სიცოცხლე და ქონება თავიანთ მემამულეთა.

დედოფალმა ხელი მოაწერა ბრძანებას კორტესების კრების შეწყვეტის შესახებ.

საგასტამ ჟურნალისტებთან ლაპარაკის დროს სთქვა, რომ არავითარი ამბავი არ მიმიღია მანილიის დამორჩილების შესახებაო.

სენატსა და პალატაში წაკითხულ იქმნა ბრძანება კორტესების კრების შეწყვეტის შესახებ.

**პარიჟი.** პროგრესისტთა მხრივ საქმის შეფერხებისა გამო პეიტრალმა უარი განაცხადა კაბინეტის შედგენაზე და განმარტა კიდეც, პროგრესისტებმა იმიტომ მითხრეს უარი დახმარებაზე, რომ ერთი პორთფელი რადიკალ-სოციალისტისთვის უნდა ჩამებარებინაო. ფორმა სასახლეში მიიწვია ბრისსონი.

დეკრეტის ძალით რეინაკს ჩამოერთვა კაპიტანის ჩინი.

**ვაშინგტონი.** ხურაგუადგან იუწყებიან, რომ ამერიკის ჯარმა მიაღწია სანტ იაგოსთან მდებარე მთას და ამერიკის დროშა გაშალა ხურუგაუში. ესპანიის ჯარი უკან მიდის. რამდენსამე დღის შემდეგ მოელიან ბრძოლას, რომელსაც საქმის ასე თუ ისე გადაწყვეტის მნიშვნელობა ექმნება.

**ლონდონი.** გამოცხადებულ იქმნა კაირიდგან მოსული დეპეშა, რომელიც იუწყება, რომ ხალიფმა მიატოვა ჰართუმი და საჩქაროდ წავიდა სამხრეთისაკენ, ელობეიდსა და კორდოფონუსაკენ,—ეს ამბავი გახდა იმის მიზეზად, რომ სარდარა ჯარისაკენ გაემგზავრა, რომ დაუყოვნებლივ დაედევნოს მტერს.

**ნიუ-იორკი.** ხურაგუადგან იუწყებიან, რომ სანტ-იაგოსთან ხუთის მილის სიახლოვეს ათასი ამერიკელი თავს დაეცა ორი ათას ესპანელებს. ამერიკელებმა განდევნეს ესპანელნი, რომელნიც ქალაქში შევიდნენ. ამერიკელთა შორის მოკლულ იქმნა 15, დაჭრილია 50. ამერიკის მხედართ მიეშველა ქვეითა ჯარი და სანტ-იაგოს კართან ადგილი დაიჭირეს. დიდძალი ჯარი თანდათან მოდის აქ და ემზადებიან ქალაქს თავს დაეცნენ.

**მადრიდი.** „კორესპონდენცია“ იუწყება, რომ ხმა დადის ზავის შესახებაო: შეერთებული შტატები თხოულობენ გადმოგვცეს პორტორიკო, ვითარცა სამხედრო საზღაური, მიენიჭოს კუბას კუნძულს დამოუკიდებულება ამერიკის მფარველობით, და მოგვეცეს სადგური ფილიპეს კუნძულებზედა და ნახშირის საწყობი კანარის კუნძულებზეო.

15 ივნისი

**მადრიდი.** ოფიციალური დეპეშა სანტ-იაგოდგან იუწყება: „ლინარესის რაზმზედ სევილიის მაღლობებზედ, ხურაგუას ახლოს, ერიში მიიტანა ამერიკის ჯარმა, რომელიც მეამბოხეებთან იყო შეერთებული. ამერიკელიბი უკუ-ქცეულ იქმნენ და დიდი ზარალიც მოუვიდათ. ესპანიელთა შორის 7 მოკლულია, 27 დაჭრილი, მათ შორის 3 აფიცერი.

**ვაშინგტონი.** გენერალი შაფტერი იუწყება დეპეშით: „ესპანიელები სევილიასთან იდგნენ მკვიდრს სიმაგრეში, მთის იალალს მწვერვალზედ. თოფის სროლამ ერთს საათს გასტანა. მტერი გაძევებულ იქმნა სიმაგრიდგან და ეს სიმაგრე ამერიკელებმა დაიჭირეს. სიმაგრე იმყოფება 1-ნახევარ მილის მანძილზედ სევილიიდგან. ესპანელებმა სანტ-იაგოსაკენ დაიწიეს.

**პარიჟი.** ბრისონს თათბირი ჰქონდა სარიენსა, პეტრალსა ვიჟესა და მეზიურერთან. აქ იმ აზრისანი არიან, რომ მოლაპარაკებას კეთილი შედეგი მოჰყვებაო.

**რომი.** მეფემ შეიწყნარა რუდინის კაბინეტის სამსახურიდგან გადადგომა და გენერალს პელლს მიანდო ახალის კაბინეტის შედგენა.

**ოდესსა.** ბუხარას ემირი ელისავეტოგრადით ბახჩისარაიასა და იალტაში წავიდა.

## წერილი რედაქციის მიმართ

უგულითადესს მადლობას ვუცხადებ სამხთოის მოვაჭრეებს ხარლამპი ბეჟანისძეს ლომაძეს და ილარიონ ანტონისძეს თავაძეს, რომელთაც: პირველმა დაურიგა უფასოდ სამღრთოის სკოლის მოსწავლეებს რვეულები რიცხვით 78 და მეორემ-შემოსწირა ამავე სკოლას ერთი ზარი, 4 მან. ღირებული.

სამღრთოის სამრ. სკოლ. მასწ. გ. ნაკაიძე

## მადლობის გამოცხადება

თელავის დედათა წმ. ნინოს საქველ-მოქმედო საზოგადოების გამგეობა დიდს მადლობას უძღვნის ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკს, რომელმაც თელავის დედათა წმ. ნინოს სასწავლებელს მიმდინარე 1898 წელს დახმარება აღმოუჩინა 1,000 მანეთით.

თავმჯდომარე სამმართველოისა
ს. განსევიჩისა


## განცხადებანი

15 მაისიდგან გამართულია

ხვედურეთის აბანო

სად. ქარელის მახლობლად

დაწვრილებით ცნობებისათვის მსურველს შეუძლიან მიჰმართოს შემდეგის ადრესით: Ст. Карели. кн. Конст. Цицiанову.

(5—94—3)


## სასარგებლო ცნობანი

რკინის გზის საადგილო მატარებლების მიმოსვლა.

ტფილისსა და გორს შორის: ტფილისიდგან გადის დილის 10 ს. 15 წ., გორში ჩადის ნაშუადღევის 12 ს. 48 წ., გორიდგან გამოდის საღამოს 7 ს., ტფილისში ჩამოდის საღამოს 9 ს. 18 წ.

ტფილისსა და ბორჯომს შორის: ტფილისიდგან გადის ნაშუადღევის 2 ს. 30 წ., გორში ჩადის 4 ს. 58 წ., ხაშურში—საღამოს 6 ს. 29 წ., ბორჯომში—7 ს. 50 წ., ბორჯომიდგან გამოდის ღამის 1 ს. 44 წ., ხაშურში ჩამოდის ღამის 2 ს. 54 წ., გორში—ღამის 4 ს. 33 წ. და ტფილისში—დილის 7 ს. 33 წ.

ტფილისსა და მცხეთას შორის: ტფილისიდგან ორი მატარებელი გადის—ერთი—დილის 8 ს. 20 წ., და მცხეთაში ჩადის დილის 9 ს. 16 წ., მეორე—ტფილისიდგან გადის ნაშუადღევის 5 ს. 20 წ., მცხეთაში ჩადის საღამოს 6 ს. მცხეთიდგანაც ორი მატარებელი მოდის ტფილისისაკენ: პირველი მცხეთიდგან გამოდის დილის 10 ს. 8 წ. და ტფილისში ჩამოდის—10 ს. 52 წ. მეორემცხეთიდგან გამოდის საღამოს 6 ს. 45 წ., ტფილისში ჩამოდის—7 ს. 23 წ.

ბათუმსა და ქობულეთს შორის: ბათუმიდგან სამი მატარებელი გადის: ერთი—დილის 7 ს. 15 წ. და ქობულეთში ჩადის—დილისვე 8 ს. 15 წ., მეორე—ნაშუადღევის 2 ს. 15 წ. და ქობულეთში ჩადის 3 ს. 10 წ., მესამე—ნაშუადღევს 5 ს. 15 წ. და ქობულეთში ჩადის საღამოს 6 ს. 10 წ.; ობულეთიდგანაც სამი მატარებელი მიდის. ბათუმს: პირველი—დილის 11 ს. 15 წ. და ბათუმში ჩადის ნაშუადღევის 12 ს. 12 წ., მეორე—ნაშუადღევის 3 ს. 30 წ. და ბათუმში ჩადის 4 ს. 37 წ., მესამე—საღამოს 6. ს. 45 წ. და ბათუმში ჩადის საღამოსავე 7 ს. 40 წ.

### ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა

| უმთავრესი სადგურები | მატარ. № 1 ბაქოდგან ბათუმამდე | | მატარ. № 2 ბათუმიდგან ბაქომდე | | მატარ. № 3 ბაქოდგან ბათუმამდე | | მატარ. № 4 ბათუმიდგან ბაქომდე | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | შედის | გამოდ. | შედის | გამოდ. | შედის | გამოდ. | შედის | გამოდ. |
| ბათუმი | 8.47 | — | — | 8.20 | 8.33 | — | — | 8.35 |
| სამტრედია | 5.31 | 5.46 | 11.21 | 11.36 | 4.50 | 5.05 | 12.05 | 12.20 |
| ყვირილა | 3.37 | 3.47 | 1.22 | 1.32 | 2.48 | 2.58 | 2.16 | 2.26 |
| ხაშური | 12.41 | 12.56 | 4.38 | 5.00 | 11.47 | 12.02 | 5.26 | 5.41 |
| გორი | 11.23 | 11.32 | 6.06 | 6.18 | 10.23 | 10.33 | 6.45 | 6.55 |
| ტფილისი | 8.26 | 9.10 | 8.22 | 9.05 | 6.33 | 7.48 | 9.07 | 10.57 |
| აქსტაფა | 5.23 | 5.32 | 11.43 | 11.51 | 2.53 | 3.18 | 1.45 | 2.08 |
| განჯა | 2.23 | 2.37 | 2.35 | 2.55 | 11.39 | 11.54 | 5.18 | 5.40 |
| უჯარა | 10.43 | 10.53 | 6.08 | 6.20 | 7.39 | 7.49 | 9.14 | 9.24 |
| აჯიქაბული | 7.29 | 7.44 | 9.19 | 9.30 | 3.57 | 4.17 | 1.00 | 1.25 |
| ბაქო | — | 4.05 | 12.59 | — | — | 12.20 | 5.45 | — |

შენიშვნა: შავს ხაზებში მოქცეული საათი და წუთი ღამესა ჰნიშნავს, უხაზო—დღეს.

სამტრედიასა და ფოთს შორის ორი მატარებელი დადის: პირველი სამტრედიიდგან გადის დილის 5 საათსა და 05 წუთ. და ფოთში შედის დილის 7 საათსა და 42 წუთ., მეორე—სამტრედიიდგან გადის საღამოს 7 ს. 30 წ. და ფოთში შედის საღამოს 10 ს. 08 წ.; პირველი—ფოთიდგან გამოდის საღამოს 8 ს. 55 წ. და სამტრედიაში მოდის საღ. 11 ს. 30 წ., მეორე ფოთიდგან გამოდის დილის 6 ს. 27 წ., სამტრედიაში მოდის დილის 8 ს. 55 წ.

სამტრედიასა და რიონს შორის; სამტრედიიდგან გადის დილის 9 ს. 10 წ., რიონში ჩადის დილის 10 ს. 02 წ. და ესევე მატარებელი რიონიდგან ქუთაისს გადის 10 ს. 10 წ. და ქუთაისში ჩადის 10 ს. 35 წ.

რიონიდგან ქუთაისსვე გადის მატარებელი დილის 5 ს. 30 წ., ქუთაისს ჩადის 5 ს. 55 წ., ქუთაისიდგან რიონს გამოდის დღის 5 ს. 20 წ., რიონში ჩადის 5 ს. 45 წ.

შორაპან-რიონი. შორაპნიდგან გადის დილის 7 ს., რიონში ჩადის დილის 8 ს. 11 წ., რიონიდგან გადის დღის 2 ს. 53 წ., შორაპანში ჩადის დღის 4 ს. 02 წ. ეს მატარებელი შორაპანსა და ქუთაისს შორის პირდაპირ დადის და მგზავრთ სხვა მატარებელში გადასხდომა არა სჭირდებათ.




დიდის ვაჭრობისა და ახალის განუკეთესებულის საშუალებით ჩემ მიერ საათების დამზადებისა გამო შეძლება მომეცა 1897 წლის 1 ივლისიდგან ვყიდო მეტად მშვენიერი და გამძლე **საათები ამერიკულ ოქროსი მამაკაცთათვის**, ძვირად გასარჩევი მცოდნე კაცებისათვისაც ნამდვილ ძვირფას ოქროს საათებისაგან,—დახურული **ანკერი**, მეტად კარგის მანქანისა და ნაკეთობისა (1896 წ. ვერცხლის მედალით დაჯილდოვებულია ჟენევის გამოფენაზედ), ლამაზის ძეწკვით, **ამერიკულ ოქროსივე**, ბრელოკით, და, დამკვეთის სურვილისამებრ, იმის **მონოგრამმით** ზემო სახურავსზედ, 18—20 მან. მაგიერ იყიდება

**მხოლოდ 10 და 12 მან.**

ამერიკაში ამ საათებმა დიდი ხანია ხმარებიდგან გააძევა ნამდვილი ოქროს საათები და ბოლოს დროს ჩვენშიაც ჰხმარობენ.

ასეთივე საათი **ქალთათვის 1 მან. ძვირია**

წერილითი თავდებობა ეძლევა მყიდველს 6 წლის ვადით.

ვუგზავნი სრულიად მოწყობილსა და მორთულს საათს ორის მან. ბეს მიღების შემდეგ ფასდადებით. ადრესი:

**შ. გეილერის**

**საწყობი ჟენევის საათებისა ქ. ვარშავაში,**

კოროლევსკაია, 27, 29.

— მრავალი სამადლობელი წერილები —

სიყალბის თავიდგან ასაცდენად ყოველ საათს ფირმის ბეჭედი აზის, რომელიც ნება-დართული და დამტკიცებულია სავაჭრო და სამანუფაქტურო დეპარტამენტისაგან. (10—მ.—6)